



საინფორმაციო
ფურცელი

INFORMATION
SHEET

WWW.UNISON.GE



ჩვენ ვზრუნავთ ყველაფერზე, რაც შენთვის მნიშვნელოვანია

WE TAKE CARE OF EVERYTHING THAT'S IMPORTANT TO YOU

დეპონირებული
ხელშეკრულების #251656065

საინფორმაციო ფურცელი

საინფორმაციო ფურცელი წარმოადგენს დაზღვევის პირობების შესახებ ზოგად, არაამომწურავ ინფორმაციას და არ უნდა იქნეს განხილული როგორც დაზღვევის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი ან მისი პირობა. საინფორმაციო ფურცლის გაცნობა, აგრეთვე მზღვევლის მიერ აღნიშნულ ფურცელთან დაკავშირებით გაკეთებული განმარტებები, არ იწვევს სამართლებრივ შედეგებს და არ ქმნის მხარეთა შორის რაიმე სახის უფლებებსა თუ ვალდებულებებს. დაზღვეულსა და მზღვევლს შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება მხოლოდ შესაბამისი დაზღვევის ხელშეკრულებით და მისი პირობებით.

მზღვეველი:

სს „სადაზღვევო კომპანია
უნისონი“

საიდენტიფიკაციო კოდი:

404393152

იურიდიული /
ფაქტობრივი მისამართი:

ქ. თბილისი, დ. გამრეკელის
ქ. №19

ტელეფონი:

+995 32 2 991 991

ელ - ფოსტა:

unison@unison.ge

დაზღვევის ხელშეკრულების
სახე და აღწერა:

ავტოტრანსპორტის
დაზღვევა (CASCO)

დაზღვევა ხდება შემდეგი
სადაზღვევო რისკებისგან:

- ხანძარი, აფეთქება;
მეხის დაცემა;
- ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა,
მესამე პირის მართლსაწინა-
აღმდეგო ქმედება;
- ავტოსაგზაო შემთხვევა;
- ცხოველთან შეჯახება ან
ცხოველით ან ფრინველით
გარეგანი დაზიანება;
- სტიქიური მოვლენები
(სეტყვის ჩათვლით);
- საგნის დაცემა, მათ შორის
ანასხლეტი კენჭით საქარე
მინის დაზიანება;

დამატებითი დაფარვები:

- მე-3 პირის წინაშე წარმოშო-
ბილი პასუხისმგებლობით
დამდგარი ზიანი;
- მძღოლისა და მგზავრების
სიცოცხლესა და ან ჯანმრთე-
ლობაზე მიყენებული ზიანი.

როდის გაიცემა სადაზღვევო
ანაზღაურება?

- თუ ადგილი არ აქვს დაზღვევის
პირობებით გათვალისწინებულ
რომელიმე საგამონაკლისო
შემთხვევას;

დამატებითი დაფარვების
შემთხვევაში სადაზღვევო
ანაზღაურება გაიცემა:

- თუ ზიანი გამოწვეულია დაზღვე-
ული სატრანსპორტო საშუალებით
გადაადგილებისას დამზღვევის
(უფლებამოსილი მძღოლის)
ბრალებულობით და დადგა მესამე
პირის წინაშე პასუხისმგებლობა;
- თუ დაზღვეულ სატრანსპორტო
საშუალებაში მსხდომ მძღოლისა
და მგზავრების სიცოცხლესა და
ან ჯანმრთელობას მიაღება
ზიანი, რაც გამოვლინდება
სადაზღვევო პერიოდში
დამდგარი შემთხვევის მოხდე-
ნიდან 1 (ერთი) თვის განმა-
ვლობაში.

სადაზღვევო პრემიის გარდა
მომხმარებლის მიერ
ნებისმიერი სხვა ფინანსური
ხარჯის გაწევის წინაპირობები,
ოდენობა და წესი:

- **პირგასამტეხლო**
სადაზღვევო შენატანის
დადგენილი პირობებითა
და დადგენილ ვადებში
გადაუხდელობის შემთხვევაში.
- **ჯარიმა**
დაზღვევის ვადაზე ადრე
შენწყვეტის შემთხვევაში.
- **ფრანშიზა**
განისაზღვრება სადაზღვევო
პოლისის შესაბამისად.

დაზღვევის გამონაკლისი
პირობების სრულყოფილი
ჩამონათვალი:

- მზღვეველისთვის მოწოდებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია არ შეესაბამება სიმართლეს/ არასწორი/ არაზუსტი /ყალბი შეცდომაში შემყვანია;
- ზარალი/ზიანი არსებობდა დაზღვევამდე ან და შემთხვევამდე;
- დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი;
- ზიანი არ არის გამოწვეული სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო რისკის ხდომილებით;
- შემთხვევა არ არის დამდგარი სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში;
- არ იქნება გადახდილი პოლისით დადგენილი ერთჯერადი ან მორიგი სადაზღვევო შესატანი (სადაზღვევო პრემია);
- სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ლიმიტი არ არის ამოწურული;
- სატრანსპორტო საშუალება გამოიყენება მზღვეველთან შეუთანხმებელი დანიშნულებით;
- ავტოსატრანსპორტი გამოიყენებოდა: სასწავლო, სპორტული ან სპეციალური დანიშნულებით, მათ შორის: სასწრაფო დახმარება, საგზაო

დაზღვევის გამონაკლისი
პირობების სრულყოფილი
ჩამონათვალი:

- პოლიცია, ჯავშანტრანსპორტი, ტაქსი, კურიერი, ადგილზე მიტანის სერვისი (დელივერი მომსახურება), Test drive; Off road-ში მონაწილეობის მიზნებისთვის - მზღვეველისთვის წინასწარი შეთანხმებისა და შესაბამის პოლისში ამგვარი მითითების გარეშე.
- არ დასტურდება სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტი ადგილი და დრო, არ არსებობს ზიანის გამომწვევი მიზეზის დამადასტურებელი კვალი (ნამსხვრევები, ჩამონაყარი, საგანი და სხვა);
- ადგილი აქვს მძღოლის მხრიდან განხზრახ დაზიანებას, უხეშ გაუფრთხილებლობას. უხეშ გაუფრთხილებლობად ჩაითვლება ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელიც გამოწვეულია მათ შორის და არა მხოლოდ უფლებამოსილი მძღოლის ბრალეული ქმედებით და ასეთ ქმედებას არ აქვს ობიექტური გამამართლებელი გარემოება. მაგალითად: ავტომობილის მძღოლის მიერ სიჩქარის გადაჭარბებას, წითელზე გავლას, საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით გადაადგილებას, „დაუთმე გზა“ ნიშნის უგულებელყოფას, ავტომანქანის ტექნიკურ გაუმართაობას.;

დაზღვევის გამონაკლისი
პირობების სრულყოფილი
ჩამონათვალი:

- ავტოსაგზაო შემთხვევის რისკის ხდომილებისას, სატრანსპორტო საშუალება არ იყო ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში;
- ავტოტრანსპორტის დაზიანება არ არის გამომწვეული გარეგანი ზემოქმედების შედეგად;
- მძღოლმა მიატოვა შემთხვევის ადგილი, დაძრა ან გადაადგილა ავტომანქანა მზღვეველის თანხმობის გარეშე, თუ ამას არ მოითხოვს საპატრულო პოლიცია;
- მძღოლმა არ გამოიძახა შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიცია (გარდა სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის პატრულის ოქმის გარეშე დარეგულირების წესის მოქმედებისას);
- მძღოლმა დაუყოვნებლივ არ შეატყობინა მზღვეველს შემთხვევის თაობაზე, გარდა ანასხლეტი კენჭით საქარე მინის დაზიანებისა ამ შემთხვევაში დამზღვევი უფლებამოსილია დაასრულოს მოძრაობა და პირველივე შესაძლებლობისთანავე შეატყობინოს მზღვეველს ფაქტი;
- დაზღვეულ სატრანსპორტო საშუალებაზე დამდგარი ზიანი, თუ ეს ზიანი გამომწვეულია სადაზღვევო რისკით, მაგრამ დამზღვევს/დაზღვეულს ამ შემთხვევის დადგომის შედეგად

დაზღვევის გამონაკლისი
პირობების სრულყოფილი
ჩამონათვალი:

- არ მიუღია დამატებითი ფინანსური ბარალი.
- დაზიანდა საბურავი სადაზღვევო რისკების ზეგავლენის გარეშე;
- ადგილი აქვს: ომით (მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია თუ არა), შემოჭრით, მტრული ძალების ქმედებით, მტრული ან საომარი მოქმედებებით, სამოქალაქო მღელვარებით, საბოტაჟით, გაფიცვით, მანიფესტაციით, ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით.
- ბარალი დადგა დაზღვეული ავტოტრანსპორტის სამშენებლო ან/და ისეთ ტერიტორიაზე ყოფნის დროს, სადაც შეზღუდულია ან აკრძალულია ავტოტრანსპორტით გადაადგილება, მათ შორის, აეროდრომზე, აეროპორტში ან აეროდრომის იმ მონაკვეთზე, რომელიც გამოიყენება თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენად, გადასაადგილებლად, სადგომად, აეროპორტის მომსახურეობისათვის განკუთვნილ გზად ან აეროპორტში საბაჟო შემოწმებისათვის.
- შემთხვევა მოხდა უფლებამოსილი მძღოლის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს;
- არასაავტომობილო გზაზე დამდგარი ზიანი;

დაზღვევის გამონაკლისი
პირობების სრულყოფილი
ჩამონათვალი:

- ორმაგი დაზღვევის არსებობის პირობებში, ადგილი ჰქონდა სრული სადაზღვევო ანაზღაურების მიღების მცდელობას;
- დაზღვეული ავტომობილის შიდა (არაგარეგანი) დაზიანება ცხოველების მწერების, ფრინველების ან ქვეწარმავლებისგან;
- თუ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მზღვეველს ენიჭება უფლება-მოსილება, უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურებაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებანი);
- დამზღვევის მიერ არ არის სრულად და ჯეროვნად შესრულებული ამავე პირობებით დადგენილი ვალდებულებები.

ზარალის ოდენობაში
არ შევა:

- ნებისმიერი ტიპის ადმინისტრაციული ჯარიმა, მათ შორის პარკირების წესების დარღვევით, ასევე საჯარიმო სადგომზე დგომა/ გადაყვანის ხარჯები, მათ შორის დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების ევაკუირებისას მიყენებული ზიანის კომპენსაცია;

საქართველოს ფარგლებს გარეთ
შეკეთების ხარჯები;

ბუნებრივი ცვეთა, ჟანგი, კოროზია, ამორტიზაცია, გაუფასურება ან/და ისეთი შეკეთება, რომელიც

დაზღვევის გამონაკლისი
პირობების სრულყოფილი
ჩამონათვალი:

- აუმჯობესებს ავტოტრანსპორტის
ზარალის დადგომამდე არსებულ
მდგომარეობას;
- მორალური ზიანი, მიუღებელი
შემოსავლის სახით განცდილი
ზიანი.

სადაზღვევო შემთხვევის
დადგომისას მზღვეველისთვის
შეტყობინების გაგზავნის,
მოთხოვნის წარდგენის,
სადაზღვევო შემთხვევის
რეგულირების და სადაზღვევო
ანაზღაურების გაცემის ფორმა
და ვადები:

- შემთხვევის მოხდენისთანავე
დაუყოვნებლივ უნდა დატოვოთ
შეტყობინება „მზღვეველის“
ცხელ ხაზზე - 032 2 991 991.
(გარდა ანასხლეთი კენჭით
საქარე მინის დაზიანებისა);
- შემთხვევის მოხდენისთანავე
დაუყოვნებლივ აცნობოთ საგან-
გებო სიტუაციების მართვის
სამსახურს - 112. (გარდა ანას-
ხლეთი კენჭით საქარე მინის
დაზიანებისა);
- მზღვეველის თანხმობის გარეშე
არ გადაადგილოთ ავტომობილი
შემთხვევის მოხდენის ადგილი
დან, თუ ამგვარ მოქმედებას არ
მოითხოვს საპატრულო პოლიცია;
- მზღვეველთან შეთანხმების
გარეშე არ დაიწყოთ ავტომობი-
ლის შეკეთება;
- შემთხვევის დადგომიდან არა
უგვიანეს 24 საათისა გააკეთოთ
წერილობითი განაცხადი შემთხვე-
ვის თაობაზე. დამზღვევის მიერ
ამ ვადების დარღვევის შემთხვე-

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისთვის შეტყობინების გაგზავნის, მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები:

- ვაში მზღვეველი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს ზარალის ანაზღაურებაზე;
- შეატყობინოთ მზღვეველს ექს-პლუატაციის, გამოყენების პირობების, მესაკუთრის ან ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ცვლილებების თაობაზე;
- დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოთ მზღვეველს პოლისში (განაცხადში) მითითებულ მისამართებში.
- ანაზღაურების ფორმას (ფულადი, ქონებრივი ან მომსახურების სახით) განსაზღვრავს მზღვეველი.
- სრული განადგურების ან ქურდობის შემთხვევაში შესაძლებელია დაზღვეული მანქანის ჩანაცვლება ანალოგიური მოდელით. ასეთ დროს დაზიანებული/გატაცებული მანქანა გადადის მზღვეველის საკუთრებაში.

დამატებითი დაფარვისას ანაზღაურება შეიძლება მოიცავდეს:

- დაზიანებული ქონების აღდგენით ან ჩანაცვლებით ღირებულებას;
- სამკურნალო ხარჯებს;
- მუდმივი შრომისუუნარობის ან გარდაცვალებისას ბოლო 5 წლის შემოსავალს (პოლისის ლიმიტამდე).

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისთვის შეტყობინების გაგზავნის, მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები:

- ზარალის გადაჭარბებისას ანაზღაურება ნაწილდება პროპორციულად დაზარალებულებს შორის.
- ანაზღაურება ხდება რეალური ზარალის ფარგლებში, პოლისის ლიმიტის, ფრანშიზისა და გადაუხდელი პრემიების გათვალისწინებით.
- ევაკუატორის ხარჯები ანაზღაურდება მხოლოდ საქართველოში და მხოლოდ მაშინ, როცა მანქანა ვერ გადაადგილდება დამოუკიდებლად.
- თუ დაზიანება მრავლადია, მაგრამ სხვადასხვა რისკის შედეგია, ანაზღაურდება მხოლოდ ყველაზე მცირე დაზიანება.
- ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევმა განიცადა ფინანსური ზარალი და დადასტურებულია მისი ფინანსური ინტერესი.

ანაზღაურების გაცემის წესი

ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადასტურდება:

- შემთხვევის ფაქტი და ზარალის ოდენობა;
- ანაზღაურების ფორმა და ოდენობა;
- შემთხვევა არის სადაზღვევო;

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისთვის შეტყობინების გაგზავნის, მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები:

- დაზღვევს არ აქვს დავალიანება.
- ყველა დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, ანაზღაურება გაიცემა მაქსიმუმ 3 სამუშაო დღეში.
- თუ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე, მზღვეველს შეუძლია გადანაცვტილების გადავადება.